# ცნობის ფურცელი

## სურათებიანი დამატება

დამატების № 315. ხუთშაბათი, 12 მაისი 1905 წ. გაზეთის № 2817

# სურამი

თ—ს.

ობლად დავრჩი. ყური არავინ მიგდო. გაუმაძღარმა და ჩემითვე გასუქებულმა ადამიანმა თვალი ამარიდა, ზურგი შემომაქცია. ეულად დარჩენილს ვინ გინდა, რომ არ მჩაგრავდა.

ქარმაც-კი აბუჩად ამიგდო, წამომიბერა, მაქანავა ულმობელად, ხან სად მიმიხეთქა თავი და ხან სად. და ბოლოს მოუხნავ მოუმზადებელ გოხაზე, ქვის გვერდით, მიმაგდო. წვიმამ დამშხეპა—გამალუა, გრიგალმა მტვერი წამაყარა და დამმარხა.

მეგონა აქ გათავდა ჩემი არსება, აქ ვიპოვე ჩემი სამარე, გავქარწყლდი, გავქრი, მოვშორდი უმადურ ბოროტებით სავსე ქვეყანას. სული მეხუთებოდა. ცუდადა ვგრძნობდი თავს; ავად ვიყავი. მციოდა. მიწა ლოდივით მაწვა გულზე. გავიბერე, თითქმის უსულო გავხდი. გათავდა ყველაფერი. ვაი ჩემს ობლობას! რამდენჯერმე ვსინჯე თავის დაღწევა, მაგრამ ამაოდ. ზედა პირი დედამიწას წაბიძგოდა, გამაგრებოდა.



მინდვრად.—ქანდაკება ბუშესი.

თითქმის დავემორჩილე ბედს, რომ ამ დროს სითბო ვიგრძენ; ტანში სიამოვნების ჟრუანტელმა დამიარა. ეს მზის სხივი ჩამოპარულიყო და სიცოცხლე ჩამოეტანა. მომაგონდა მშვენება ბუნებისა და გული დამწყდა. ნუ თუ მართლა უნდა გავქრე, მოვისპო? გულ გამთბარი შევინძერი და—დახე განგებასა!—კანი გამისკდა და იფეთქა სიცოცხლის ნაყოფმა. მომაკვდავი გავცოცხლდი, გავ ღონიერდი, სიცოცხლემ ჩუხჩუხი დაიწყო, აღარ ვეტეოდი, აღარ მყოფნიდა საპყრობილედ გადაქცეული პატარა ადგილი.

წყვდიადი გულს მიღონებდა და სინათლისკენ მივისწრაფოდი. ფეხ მომაგრებული, წვიმა-წყალივით წამოვედი მაღლა-მაღლა და სულ მოკლე ხანში თავი ამოვყავ მიწის პირის ზემოდ, მაგრამ გამხმარმა, ილაჯ გაწყვეტილმა კი არა, მწვანეთ მორთულმა, ნორჩმა. გაახლებულმა ამოვყავ თავი და

ზენას შევცინე, იმანაც მარგალიტის ცვარი მასხურა; წყურვილი მომიკლა.

სხივები თამაშობდნენ. მთელი ბუნება სიცოცხლით იყო გაჟღენთილი. სამოთხეა სწორედ, ვიფიქრე. ცოტა კიდევ და ნორჩ ახალგაზრდისაგან გარდავიქეცი დამთავრებულ, დასრულებულ ვაჟკაცად.

—ზ—უ—უ—უ!—მომესმა ხმა, მოემზადა დასაჯდომათ, მაგრამ ყურები შევიბერტყე და მოვიშორე.—ზ...უ...უ...—დამზუზუნა ხელახლად, დამაჯდა ფოთოლზე და დამიწყო ჩხვლეტა.

ამას მეორე მოჰყვა, მეორეს მესამე და ფოთლები შეხორხლეს. შევწუხდი, სახე დამეჯღინჭრა. ფრინველმა მწერები მომაშორა, მაგრამ თითონ უარესი დამმართა. აბობღილმა მატლმა სული შემიწუხა. ეს ტანჯვა არ მაკმარეს. ადამიანმა თითქმის ბოლო მომიღო; დამადგა ფეხი და იქვე ჩამთელა, საიდანაც თავი დავაღწიე. დიდ ხანს ვიავადე, მაგრამ მაინც მოვჯობინდი, სიცოცხლემ სიკვდილი სძლია. გარს შემოხვეულმა ურწამ, ნარევალმა და სხვა უმსგავსმა ბალახმა დამჩრდილა, საზრდო გამომაცალა. ტანჯვით და ვაებით, დაჟინებულის ბრძოლით მაინც გავიტანე თავი. წელში გავიმართე, ღონით და სიცოცხლით გავივსე, თავს ოქროს ქოჩორი დავისხი და მომწიფებულ, გასუქებულ მარცვლებით ავივსე.

გაუმაძღარი ადამიანი, რომელიც წინად ყურადღებას არ მაქცევდა, შემომხაროდა, ფეხს მარიდებდა, მეალერსებოდა, რას არ მპირდებოდა; მიხვდა რომ უჩემოდ შიმშილით სული ამოუვიდოდა. მისი ალერსი მიჩოთირებოდა. კმარა, გიცან, რაც შვილი ხარ, ადამიანო! ვიცი, რაც გწადიან, ვიცი, გამოგცადე, გაჭირებამ ჭკუა მასწავლა. ნათლად ვხედავ, რომ შენი კოცნა იუდას ამბორია. გინდა მომხიბლო ტკბილის სიტყვებით; ამომიჩიჩქნო თვალები, ამომაცალო ნაყოფი და შენს გაუმაძღარ მუცელს ჩააყარო. კმარა, რაც ვიტანჯე. მორჩა!—თქვა და ამაყად შეიბერტყა ოქროს ქოჩორი.

ს. ციმაკურიძე.

# ქურდი

ახალი მოთხრობა ლეონიდ ანდრეევისა.

## I

ფედორ ურასოვი, ქურდი, სამჯერ მიცემული სამართალში ქურდობისთვის, გაემგზავრა სტუმრად თავის წინანდელ საყვარელ როსკიპ ქალთან, რომელიც სცხოვრობდა სამოცდაათი ვერსის მანძილზედ მოსკოვიდან. რკინის გზის სადგურზე ურასოვი იჯდა პირველ კლასის ბუფეტში, სჭამდა და სვამდა ლუდს. მას ემსახურებოდა კაცი, ფრაკში გამოწყობილი. მერე, როდესაც ყველანი გაემართნენ ვაგონებისაკენ, ისიც ჩაერია ბრბოში და როგორღაც, უნებურად, დამორჩილებული საერთო აღელვებას, ამოაცალა თავის მეზობელს, ხანში შესულ კაცს, ჯიბიდან ქისა. ურასოვს ფული საკმაოდ ჰქონდა, თითქმის ბლომადაც და ამ უცაბედ, მოუფიქრებელ ქურდობას შეეძლო მისთვის მიეყენებინა რაიმე ვნება.

ასეც მოხდა. ამ კაცმა ალბად შეატყო ამოცლა, რადგან იგი გაშტერებით დააცქერდა ურასოვს. თუმცა კი არ შეჩერებულა, მაგრამ მაინც რამდენჯერმე მოჰხედა მას. მეორედ დაინახა ეს კაცი ვაგონის ფანჯრიდან: ძრიელ აღელვებული და გაფაციცებული, ქუდით ხელში, ის კაცი ჩქარის ნაბიჯით მიდიოდა ბაქანზე, აშტერდებოდა ყველას, იხედებოდა უკან და ვიღაცას ეძებდა ვაგონების ფანჯრებში. საბედნიეროდ, დაჰკრეს მესამე ზარი და მატარებელი დაიძრა. ურასოვმა სიფრთხილით გამოიხედა ფანჯრიდან. ის კაცი კვლავ ქუდით ხელში იდგა ბაქანის ბოლოს და ყურადღებით ათვალიერებდა მსრბოლ ვაგონებს, თითქოს სთვლისო. იმის სქელ, უკმეხურად გაშოტილ ფეხებს, ემჩნეოდა იგივე გაფაციცება და გაკვირვება. იგი იდგა და ალბად ეგონა, რომ მიდის: ისე სასაცილოდ და გაკვირვებით გაეშოტა ფეხები.

ურასოვი გასწორდა, გადიზნიქა უკან მუხლები, რისგანაც იგრძნო თავისი თავი უფრო მაღალი, სწორი, ყოჩაღი და მოალერსე. დარწმუნებით ორივე ხელებით გაისწორა ულვაშები. დიდრონი, ნათელი, წვერები ჰქონდა, ლამაზივით ორი ოქროს ნამგალი, გამოშვერილი პირისახის ნაპირებიდან; და ვიდრე თითები ალერსიანობდნენ საამო რბილ და ფუნჩულა თმის გრძნობიერებით, მისი ნაცრისფერი, უმანკო სასტიკიანი თვალები დაჰყურებდნენ ძირს — გადახლართულ რელსებს ლიანდაგისას. თავისებურის ბჭყვრიალით და უხმაურო კლაკვნით რელსები წაავგავდნენ მოსრიალე გველებს.

დასთვალა რა საპირფარეშოში მოპარული ფული, აღმოჩნდა, რომ იქ იყო ოც და ოთხი მანეთი გროშებით. ურასოვმა ზიზღით შეათამაშა ხელში ქისა: ის იყო ძველი, გაქონილი, ცუდად იკეტებოდა და მასთან ისეთი სუნი ასდიოდა, თითქოს დიდხანსა ყოფილიყოს დედაკაცის ხელში. ეს სუნი, ცოტათი უსუფთაო, მაგრამ ალმძვრელი, სიამოვნებით აგონებდა ურასოვს იმას, ვისთანაც იგი მიემგზავრებოდა და მოლიმარი, მხიარული, უდარდელი, მოსურნე მეგობრულის ბაასისა, იგი გაემართა ვაგონისაკენ. ეხლა ისე სცდილობდა ყოფილიყო როგორც ყოველი, ზრდილობიანი, წყნარი; მას ეცვა პალტო ნამდვილ ინგლისურ მაუდისა და ყვითელი ფეხსაცმელები. ჰქონდა რწმენა პალტოსი და ყვითელ ფეხსაცმელებისა და დარწმუნებული იყო, რომ ყველას იგი ახალგაზრდა გერმანელად მიაჩნდა, ბუღჰალტრად რომელისამე დიდ სავაჭრო სახლისა. გაზეთების მეოხებით ყოველთვის ადევნებდა თვალს ბირჟას, იცოდა ფასიან ქაღალდების ფასი, შეეძლო საკომერციო საქმეებზედ ლაპარაკი და ხანდისხან ეგონა კიდეც, რომ იგი, გლეხი ფედორ ურასოვი, ქურდი კი არ არის, სამჯერ მიცემული სამართალში და მჯდარი საპყრობილეში, არამედ ახალგაზრდა, პატიოსანი გერმანელი, გვარად ვალტერი, სახელად ჰენრიხ. ჰენრიხს ეძახდა ისიც, ვისთანაც იგი ეხლა მიემგზავრებოდა. ამხანაგები ეძახდნენ „გერმანელს“.

— ეს ადგილი თავისუფალია? — ზრდილობიანად იკითხა მან, თუმცა ეტყობოდა, რომ ადგილი თავისუფალი იყო, რადგან ორ სავარძელზედ ისხდნენ მარტოოდენ ორნი, სამსახურს გარეში მყოფი აფიცერი, მოხუცი, და დედაკაცი ნაცნობი, ალბად, მოაგარაკე.

პასუხი არავინ არ გასცა და დიდის სიფაქიზით დაეშო იგი სავარძლის რბილ პრუჟინებზედ, ფრთხილად გაიწოდა გძელი ყვითელ ფეხსაცმელებიანი ფეხები და მოიხადა ქუდი. მერე მეგობრულად გადახედა მოხუც აფიცერს და დედაკაცს, დაიდო თავისი განიერი ხელი მუხლზედ ისე, რომ ერთბაშად შეამჩნიეს ნეკზედ ბეჭედი დიდის ბრილიანტით. იგი იყო უბრალო და ბრწყინავდა. ყველამ, მართლაც, შეამჩნია, მაგრამ არავინ არაფერი არა სთქვა, არც გაიღიმა და არც ჩამოაგდო მეგობრული განწყობილება. მოხუცმა გადაშალა გაზეთის მეორე ფურცელი; ქალმა, წვრილმა და ლამაზმა, დაიწყო ყურება ფანჯარაში. ოდნავის, გამოურკვეველის გრძნობით, თითქოს მიუხვდნენ ვინაობას, რომ რაღაცა მიზეზით არ მიაჩნიათ იგი ახალგაზრდა გერმანელად, ურასოვმა ჩუმად დამალა ხელი, რომელიც ძლიერ დიდად და თეთრად ეჩვენა, და ზრდილობიანის ხმით ჰკითხა:

— აგარაკზედ inებებთ მიმგზავრებას?

ქალმა ისეთი სახე მიიღო, თითქო ღრმად ჩაფიქრებულია და არა ესმის-რა. ურასოვმა კარგად იცოდა ეს მოკატუნება თავისა და სახის გამომეტყველება, როდესაც ადამიანი ამაოდ და მკაცრად ჰმალავს თავის ყურადღებას და ხდება უცხოდ. იგი მიბრუნდა იქით და ჰკითხა აფიცერს:

— თუ შეიძლებოდეს გასინჯეთ გაზეთში, რა მდგომარეობაშია რიბინსკის ქაღალდები? მე როგორღაც ვერ მომიგონია.

მოხუცმა აუჩქარებლად გადასდო გაზეთი განზედ და, შეიჭმუხნა რა მკაცრად ტუჩები, დააშტერა ოდნავ ბრუციანი, თითქოს შეურაცხყოფილი თვალები:

— რაა? არ მესმის.

ურასოვმა განიმეორა კითხვა და ვიდრე იგი ლაპარაკობდა, აჰიანურებდა ყოველსავე სიტყვას, მოხუცმა აფიცერმა წუნით აჰხედ-დაჰხედა, როგორც შვილიშვილს, რომელმაც სიცელქე ჩაიდინა, ან სალდათს, რომელსაც ყველაფერი წესიერად არ აქვს, და ნელ-ნელა დაიწყო ჯავრობა. აქაიქ ამოსულ ქერა თმებ შუა თავის კანი მთლად გაუწითლდა და ყბამ ცანცარი დაუწყო.

— არ ვიცი, — გაჯავრებით წაილუღლუღა მან. — არ ვიცი. მაგისთანა არაფერი არ არის აქ. რას არ იკითხავს ხოლმე ადამიანი!

ხელ-ახლა აიღო გაზეთის ფურცელი, რამდენჯერმე დაუშვა იგი, რომ ერთი კიდევ შეეხედნა ამ თავ მომაბეზრებელ კაცისთვის. ვაგონში მყოფნი ურასოვს ეჩვენნენ ბოროტებად და უცხოებად. უცნაურად ეჩვენა, რომ იგი ზის რბილ სავარძელზედ; დარდიანათ და ჯავრით მოაგონდა, რომ ყოველთვის და ყველგან რიგიან ხალხთა შორის იგი ხვდება ამ ხანდისხან ფარულ, უფრო ხშირად კი აშკარა, პირდაპირ მტრობას. იმისი პალტო ნამდვილ ინგლისურ მაუდისა იყო, ყვითელი ფეხსაცმელები და ძვირფასი ბეჭედი ჰქონდა, ისინი კი თითქოს ვერ ხედავენ ყველა ამას, ხედავენ რაღაც სხვას, თავისებურს, რაიც მას ვერ დაუნახავს, ვერც სარკეში და ვერც საკუთარ შემეცნებაში. სარკეში იგი ისეთივეა, როგორც ყველანი და უფრო უკეთესიც. ზედ არ აწერია, რომ გლეხი ფედორ ურასოვია, ქურდი, სამჯერ მიცემული სამართალში ქურდობისათვის, და არა ახალგაზრდა გერმანელი ჰენრიხ ვალტერი. აი ეს შეუმჩნეველი, შეუგნებული, გამცემი, რასაც სხვები ჰხედავენ, და თვით კი ვერ ამჩნევს, — ულვიძებს ჩვეულებრივ ყრუ შფოთს და შიშს. უნდა გაქცევა, იხედება უკან ეჭვით და ცქვიტად ამჩნევს, რომ სრულიად აღარ წააგავს პატიოსან გერმანელ ბუჰღალტერს, აჩქარებულის ნაბიჯით კარში გადის.

## II

ივნისის დამდეგი იყო და ყველაფერი, რაც კი თვალწინ მოსჩანდა შორს უძრავ ტყის ბუჩქნარამდე, ახლად დ

ძლიერად ამწვანებულიყო. ბიბინებდა ბალახი, ამწვანებულიყო ხეზედ ფოთლები, მწვანედ გამოიყურებოდნენ ნერგები ჯერედ გაფხეკილ ბოსტნებიდან, და ყველაფერი ეს ისე იყო გულჩაკეტილი და გართული თავის თავით, ისე ღრმად ჩაჰკონებოდა ჩუმ, შემოქმედურ ფიქრს, რომ, ბალახს ან ხეებს რო ჰქონოდათ პირისახე, მიწას დააშტერებდნენ, ყველა სახე იქნებოდა დადუმებული, ჩაფიქრებული და უცხო, ყველა ბაგე შებოჭული იქნებოდა უზარმაზარ, უძირო მდუმარებით. ურასოვი გაფითრებული, ნაღვლიანი მარტოდ-მარტო მდგომი ვაგონიდან ვაგონში გადასასვლელ საფეხურზედ, შფოთვითა ჰგრძნობდა ამ მოზღვავებულ, ბუმბერაზ დუმილს; კეკლუცმა, განაბულმა, გამოუცნობმა მინდვრებმა დაჰბერეს მას ისეთივე ცივი, უცხოობის სიო, როგორც ხალხმა, იქ ვაგომში მყოფმა. მაღლა, მინდვრებს ზევით, ცაც იყურებოდა თავის საკუთარ არსებაში. სადღაც, ურასოვის ზურგის უკან, მზე ესვენებოდა და მთელ დედამიწის სივრცეს აწვდიდა გრძელ, სწორ სხივებს,—და არავინ არ შეჰყურებდა მას ამ უდაბნოში, არავინ არა ფიქრობდა იმაზედ და არაფერი არ იცოდა მისი. ქალაქში, სადაც ურასოვი გაიზარდა, სახლებს და ქუჩებს აქვთ თვალები, რომლებითაც უყურებენ ხალხს, ერთნი მტრულად და ბოროტად, მეორენი ალერსით,—აქ კი არავინ არ უყურებს მას და არაფერი არ იციან მისი. ვაგონებიც ჩაფიქრებულან: ის, რომელზედაც ურასოვი სდგას, მოკუზული მირბის და ჯავრისაგან ქანაობს; მეორე, უკანა, მირბის უფრო ნელა, თითქოს თავისთავად, კაცს ეგონება, მიწაში იყურება და ყურს უგდებსო. ძირს, ვაგონებს ქვეშ, ეფინება მრავალ-ხმიანი ბრახუნი და ხმაურობა: ხან სიმღერის, ხან მუზიკის მსგავსი, ხან თითქოს ვიღაცის უცხო და გაუგებარი ლაპარაკი—სულ უცხოზედ და სულ შორეულზედ.

არიან აქ ადამიანებიც. ერთიბეწონი რაღაცას აკეთებენ ამ მწვანე უდაბნოში და არ ეშინიანთ. თითქოს მხიარულადაც არიან: აი საიდანღაც მოისმა სიმღერის ნაწყვეტი და შთაინთქა ვაგონის თვლების რახა-რუხსა და მუსიკაში. არის აქ სახლებიც, პატარა სახლები. ეს სახლები თავისუფლად დატანჯულან; ფანჯრები გაიყურებიან მინდორში, პირდაპირ მინდორში. ღამე რომ მიხვიდე ფანჯარასთან, დაინახავ მინდორს—ფარლალალა, თავისუფალ, ბნელ მინდორს. დღეს, ხვალ და ყოველ ცისმარე დღეს და ყოველ ღამეს მიმოდიან აქ მატარებლები; ყოველ დღე გადაჭიმულია აქ ეს წყნარი მინდორი პაწაწკინტელა ადამიანებით და სახლებით. გუშინ ამ დროს ურასოვი იჯდა „პროგრესის“ სასტუმროში და არა ფიქრობდა არავითარ მინდორზედ. იგი ისეთივე იყო, როგორც დღეს, ისეთივე წყნარი, კეკლუცი, რაღაცაზედ მდუმარე. აი პატარა ძველ, დიდრონ ნაძვის ხეების ჭალა ყორნების ბუდეებით მწვანე კენწეროებზედ. გუშინ, როდესაც ურასოვი „პროგრესის“ სასტუმროში იჯდა, სვამდა არაყს, ყაყანებდა ძმა-ბიჭებთან და უყურებდა აუზს, რომელშიაც დაცურავდნენ ძილმოუკიდებელი თევზები—სულ ისევ ისე ღრმად-დადინჯებულნი, სიბნელით მოცულნი იდგნენ ეს ნაძვის ხეები.

უცნაურ.ის აზრით, ვითომ მარტო ქალაქია სანამდვილე და სხვა ყველაფერი მოჩვენებაა, რომ თუ ვინიცობაა დახუჭე თვალები და მერე გაახილე, არავითარი მინდვრები არ იქნება—ურასოვმა მაგრა დახუჭა თვალები და მიჩუმდა. ერთბაშად ისე კარგად და უცნაურად იგრძნო თავი, რომ აღარ უნდოდა კვლავ თვალების გახელა და არც იყო საჭირო: განქრა აზრი, ეჭვი და მუდმივი ყრუ შფოთი; ტანი უნებურად და მწყობრივ ირხეოდა ვაგონის რხევასთან ერთად, სახეზედ ოდნავ და ნაზად ეხებოდა თბილი ჰაერი მინდვრებისა. მას ნდობით მიჰქონდა ხოლმე ფუნჩულა ულვაშებიყურებთან, ისმენდა იმის შრიალს და ძირს ფეხებ ქვეშ ეგებოდა თანასწორი და მელოდიური ხმაურობა ვაგონის თვლებისა, რაიც წააგავდა მუსიკას, სიმღერას, ვიღაცის ლაპარაკს შორეულზედ, ნაღვლიანზედ და მშვენიერზედ. ურასოვს ბუნდად ელანდებოდა, რომ თვით ფეხებიდან დაწყებული იწყება ოდნავ მგრძნობარე სივრცის სუბუქი ჰაერი და მწვანე-ცისფერი უფსკრული, ალსავსე ჩუმის და გაუბედავის სიტყვებით და სულგანაბული ალერსითა. ისე უცნაური იყო ეს, თითქოს სადღაც შორს მოდიოდა წყნარი, თბილი წვიმა.

მატარებელმა მოუკლო სირბილს და შესდგა ერთ წუთს, ერთ წამს. ერთბაშად ყოველის მხრიდან ურასოვი აიტაცა ისეთმა განუსაზღვრელმა, ზღაპარისებურმა სიჩუმემ, რომ თითქოს ეს წუთი კი არ იყო, როდესაც იდგა მატარებელი, არამედ მთელი წლები, საუკუნოები. ყველაფერი წყნარი იყო. იდგა ნაძვის სუნი, მინდვრებისა, ახალ სასუქისა—და ეს სუნი იყო შებოჭილი მუდმივის სიჩუმით. მეორე ლიანდაგზედ, უკმეხად მოპოტინე მოაჯირზედ, ჩამოხტა ვიღაც კაცი და წავიდა. ისეთი საკვირველი, უცნაური რამ იყო ის, ამ სიჩუმეში, თითქოს ჩიტიაო, რომელიც ყოველთვის ფრინავს და ეხლა მოუსურვებია სიარული. აქ უნდა ფრენა და ის არ მიდიოდა; ბილიკიც გრძელი იყო, დაუსრულებელი, ნაბიჯები კი მისი ერთიბეწო და მოკლე. ისე სასაცილოდ აბოტებდა ფეხებს ამ განუსაზვრელ სიჩუმეში.

უხმაუროდ, თოთქოს სცხვენია თავის ბრახი-ბრუხისაო, დაიძრა მატარებელი და მხოლოდ ერთი ვერსის სიშორეზედ სადგურიდან, როდესაც შთაინთქა იგი მინდვრის და ტყის მწვანის უკუნეთში, თავისუფლად ახმაურდა თავის რკინის სხეულის ასოებით. ურასოვმა აღელვებით გაიარა საფეხურზედ. მაღალმა, გამხდარმა, შეუგნებლად გაისწორა ულვაშები, იხედებოდა სადღაც მაღლა თავის გაბრწყინვებულ თვალებით და მაგრა ჩაეკონა რკინის რაზას, ვაგონის იმ მხარეს, საითკენაც ესვენებოდა უზარმაზარი, მთლად წითელი მზე. რაღაცა აღმოაჩინა: შეიგნო ის რაღაცა, რაც მთელი თვისი საცოცხლე უსხლტებოდა და ჰქმნიდა იმის სიცოცხლეს ისეთ მოუხეშავად და სამძიმოდ, როგორც ის ვაგონიდან ჩამოსული კაცი, რომელიც უნდა გაფრენილიყო, ვით ჩიტი, და მიდიოდა ფეხით.

— ჰო, ჰო,—ზრუნვის კილოთი იმეორებდა იგი და გადაწყვეტით აქნევდა თავს.—რასაკვრელია, ასეა, კი, კი.

და ვაგონის თვლებიც მედგრად და მრავალხმოვანად უდასტურებდნენ: „რასაკვრელია, ასეა, კი, კი.“ „რასაკვრელია,



— რა გტკივა?
— მე, თქვენო აღმატებულებავ...
— გამოყავ ენა, კიდევ...
— მე, თქვენო აღმატებულებავ...
— ენას ნუ მალავ, შე მხეცო, მე გასწავლი შენ ბრძანების ასრულებას!

ასეა, კი, კი.“ თითქოს ეს ასეც იყო: უნდა ემღერა და არა ეთქვა,—ურასოვმა დაიწყო ჯერ ოდნავ ღიღინი, მერე ხმას ნელ-ნელა უმატა იქამდის, ვიდრე მისი ხმა არ შეუერთდა რკინის ბრახუნს. ამ სიმღერის ტაქტათ იყო ბრახუნი ვაგონის თვლებისა, მელოდიათ კი—მთლად ეს მსრბოლი, გამსჭვრეტი ტალღა ხმებისა. არსად იყო სიტყვები. ისინი ვერ ასწრობდნენ შედგენას; შორნი და გაურკვეველნი, საშინლად განიერნი, ვით ეს მინდორი, ისინი მისრიალებდნენ სადღაც უგუნურის სისწრაფით და ადამიანის ხმა ადვილად და თავისუფლად მისდევდა მათ. იგი ადიოდა მაღლა, ეცემოდა ძირს, ეგებოდა მიწაზედ, მოსრიალე მინდორზედ და გამგმირავ ტყის ბუჩქნარებზე, ადვილად ადიოდა ცაში და იკარგებოდა მის უსაზღვრო სივრცეში. როდესაც გაზაფხულზედ უშვებენ ფრინველს ნებაზედ, იგი უნდა მიფრინავდეს ისევე, როგორც ხმა: უაზროდ, უგზო-უკვლოდ, მოსურნე გააპოს, შთაეკონოს და იგრძნოს ეს წკრიალა ფართო ციური სივრცე. ალბად, ასევე იწყებდნენ მღერას, ხმა რომ ჰქონდეთ, თვით მწვანეთ მობიბინე მინდვრები; ასე მღერიან ზაფხულის მყუდრო საღამოობით ის პატარა ადამიანები, რომელნიც რაღაცას ფუთფუთებენ ამ მობიბინე უდაბნოში.

ურასოვი მღეროდა და წითელი გატყორცნილი სინათლე ჩამავალ მზისა ანთებულიყო იმის სახეზედ, იმის ნამდვილ ინგლისურ მაუდის პალტოზედ და ყვითელ ფეხსაცმელზედ. იგი სიმღერით აცილებდა მზეს და სულ ნაღველით ივსებოდა მისი სიმღერა: თითქოს იგრძნო ფრინველმა მთლად ეს წკრიალა ფართო ციური სივრცე, შეფთხრიალდა გაუგებარ სევდით და გასძახა ვიღაცას, მოდიო.

მზე ჩაესვენა და ნაცრისფერი ქსელი გადაეფინა ჩუმ მიწას, ჩუმ ცას. ნაცრისფერი ქსელი გადაეკრა პირისახესაც; ოდნავ ციმციმებს მაზედ უკანასკნელი სხივი და მკვდრის ფერი ედება. მოდი ჩემთან! მზე ჩაესვენა და შავი წყვდიადი ეფინება მინდვრებს. შენ რად არ მოდიხარ? ეს არის მარტოობა და იქენჯნება მარტოობით ობოლი გული, ასეა მარტოობა, ასეა ტკივილი. მოდი, მზე ჩაესვენა. შავდება მინდვრები. მოდი, რაღა, მოდი!

ასე სტიროდა მისი სული. მინდვრები კი სულ შავად იმოსებოდა და მხოლოდ ცა ჩასულ მზისგან უფრო განათდა და ჩაღრმავდა, ვით მშვენიერი პირისახე, მიქცეული მისკენ, ვინც უყვართ და ვინც ნელა, ნელა მიდის. **ი. ხირსელი.**

(შემდეგი იქნება)




რედაქტორ-გამომცემელი ალ. გ. ჯაბადარი

Доз. ценз. Тифлисъ 10 мая 1905 г.

ელექტრონის სტამბა წიგ. გამომც. ქართ. ამხ—სა.